სახელფასო ხაფანგის შესახებ

გაზეთი "კვირის ქრონიკა" – 17-23 დეკემბერი, № 51, 2012 წელი

„ქრონიკას" ესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, ახალი მთავრობის მტკიცებით, ახალი წლიდან საშემოსავლო გადასახადს აღარ გადაიხდიან ის ადამიანები, რომლებსაც ხელფასები აქვთ 500 ლარამდე. ზოგს ჰგონია, რომ საერთოდ გათავისუფლდა გადასახადისგან.

– აუცილებელია განმარტება: საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება იმ ადამიანების საარსებო მინიმუმი, რომელთა შემოსავალიც თვეში არ აღემატება 500 ლარს. დღეს დადგენილი სტანდარტით, საარსებო მინიმუმი არის 150 ლარი, სწორედ ამ თანხას 500 ლარიდან არ უნდა დაერიცხოს 20-პროცენტიანი გადასახადი.

– ესე იგი, 500 ლარიდან მხოლოდ 150 ლარი არ დაიბეგრება?

– დიახ, თუ ძველი კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანს 500 ლარზე უნდა დაექვითოს 100 ლარი, ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ დაექვითება 350 ლარის 20 პროცენტი, ანუ 70 ლარი.

– არადა, ხალხს ჰგონია, ვისაც 500 ლარი აქვს შემოსავალი, ის საერთოდ არ დაიბეგრება.

– რეალურად ადამიანი მაინც დაიბეგრება 100 ლარით, მაგრამ წლის ბოლოს უკან დაუბრუნდება 360 ლარი.

– დაუბრუნდება ნაღდი ფულით?

– კი, დაუბრუნდება ნაღდი ფულით, ანუ ე.წ. "მეცამეტე ხელფასის" სახით.

– ეს ხომ დაკავშირებულია რაღაც ოპერაციასთან, რა საჭიროა ამდენი ჯახირი?

– ამ შემთხვევაში საჭიროა საბანკო ოპერაცია. ფინანსთა მინისტრმა ახსნა, რაკი საარსებო მინიმუმი ისედაც დაბალია, არ უნდა დაიბეგროსო. ამაში ლოგიკა არის, მიდგომა თეორიულად გამართლებულია, სოციალური სამართლიანობის

აღდგენის თვალსაზრისითაც გასაგებია, მაგრამ ადმინისტრირების კუთხით გართულებულია. საჭიროა სპეციალური აღრიცხვა და ასევე ამ ფულის უკან დაბრუნების სისტემის გამართვა. აღნიშნულ მექანიზმს აქვს ე.წ. "სახელფასო ხაფანგი", რაც ნიშნავს შემდეგს: 501 ლარიდან 538 ლარამდე ხელფასი ადამიანს უკვე აღარ აწყობს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ 500 ლარიდან 350 ლარი იბეგრება, ხოლო 501 ლარიდან – 501-ვე ლარი.

– 538 ლარის შემდეგ რა ხდება?

– შემდეგ იბეგრება, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივად, მაგრამ ადამიანს ხელზე დარჩება მეტი, ვიდრე 500 ლარის პირობებში. სხვათა შორის, „სახელფასო ხაფანგი" დიდი არ არის. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩემ გემოვნებაში მაინც არ ჯდება, მე ცოტა სხვანაირად ვომოქმედებდი.

– როგორ გააკეთებდით?

– მე საგადასახადო კოდექსში ჩავწერდი, რომ ყოველთვიური ხელფასი არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები. თუ აქედან 20 პროცენტს გამოვქვითავთ, დარჩება 160 ლარი და ნებისმიერი ადამიანი ხელზე აიღებს საარსებო მინიმუმზე მეტს. ამ შემთხვევაში საგადასახადო ადმინისტრირებაც მკვეთრად გამარტივდებოდა.

– რა დააშავა იმ ადამიანმა, ვისაც, მაგალითად, 600 ლარი აქვს ხელფასი, ან ცოტა მეტი?

– ის სისტემა, რომელსაც ახლა გვთავაზობს ფინანსთა სამინისტრო, უკეთესია, ვიდრე აქამდე მოქმედი სისტემა, მაგრამ ვიმეორებ, მე სხვანაირად გავაკეთებდი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ ხადურის საქმიანობა ძალიან მნომწონს და მთლიანად მხარს ვუჭერ. ის სისტემას ცოტა ართულებს, მაგრამ მისი შემოთავაზება მაინც წინგადადგმული ნაბიჯია. ხადურმა ისიც თქვა, ეს სისტემა აწყობილი გვაქვსო. ღმერთმა ქნას, ასე იყოს.

– სანამ თქვენ დაგელაპარაკებოდით, რადიოში ვუსმენდი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ წევრს, ზაქარია ქუცნაშვილს, რომელიც ამბობს, პენსიების გაზრდა კიდევ უფრო შეგვიძლია, მაგრამ არ გვინდა, ქვეყანაში დაიწყოს

ინფლაციური პროცესებიო. თუკი ასეა, მაშინ რატომღა გასცეს წინასაარჩევნოდ უხვი დაპირებები?

– ძალიან საინტერესო საკითხს მივადექით... ინფლაცია იზრდება მაშინ, როცა მოთხოვნა მეტია მოხმარების საგნების მიწოდებაზე. ბუნებრივია, როცა პენსია გაიზრდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები. ფინანსთა სამინისტროს გათვლილი აქვს ასეთი მექანიზმი: 150 ლარამდე პენსიას ზრდის 2013 წლის პირველი სექტემბრიდან, როცა მატულობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდება ბაზარზე. შემოდგომაზე ფასების მატება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ამიტომ ეს ნაბიჯი აბსოლუტურად გამართლებულია. ასევე საყურადღებოა, რომ პენსიების გამოთანაბრება მოხდება პირველი აპრილიდან. „ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ერთი აბსურდული მეთოდი შემუშავებული, 67 წლამდე პენსია იყო უფრო დაბალი, ვიდრე 67 წელს ზემოთ. ეს სრულიად გაუგებარია, რატომ ასეთი გრადაცია? რაც შეეხება საარსებო მინიმუმს, ეს საკმაოდ სერიოზული თემაა... სააკაშვილის ხელისუფლებამ ვარდების რევოლუციის შემდეგ შეცვალა საარსებო მინიმუმის გათვლის მეთოდიკა და შეამცირა კალათის კალორიულობა. ესე იგი, კალათში მოხვდა უფრო იაფფასიანი პროდუქტები და ბუნებრივია, საარსებო მინიმუმიც შემცირდა. არჩევნებამდე ირაკლი ალსანიას გუნდმა ჩაატარა კვლევა და აღმოჩნდა, რომ დღეს ეს რიცხვი 230 ლარია. 2013 წელს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს რეალისტური მეთოდიკა. ეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა გააკეთოს ჯანდაცვის სამინისტრომ, დასაზუსტებელია საარსებო მინიმუმში შემავალი პროდუქტების კალორიულობა.

– 2013 წლის სექტემბრიდან პენსიების გაზრდა სადღაც 20-25 ლარით, არ არის ისეთი დაპირება, რომ ადამიანმა თავი გაიგიჟოს. ამათ უნდა ეთქვათ ეს ყველაფერი, ხალხში აშკარად იზრდება უკმაყოფილება. ასე პენსიებს „ნაციონალებიც“ ზრდიდნენ.

– არა, „ნაციონალები“ ამას ნამდვილად არ აკეთებდნენ. ისინი ჯერ კიდევ 2009 წელს მოსახლეობას პირდებოდნენ, რომ საპენსიო პაკეტი იქნებოდა 100 დოლარის ექვივალენტი. მერე საარჩევნოდ გადმოიტანეს, 2013 წლიდან უნდა გაეკეთებინათ. მაგალითად, რატომ 100 დოლარი?

– დოლარი კარგად ჟღერს.

– სწორედ მაგაშია საქმე, ანუ ისევ პიარზე იყო გათვლილი. მეორე – „ნაციონალები“აქაც ატყუებდნენ ხალხს, ლაპარაკი იყო არა პენსიაზე, არამედ საპენსიო პაკეტზე, სადაც შევიდოდა დაზღვევაც, ვაუჩერებიც და კიდევ სხვა რაღაცებიც. ამ დროს ნოდარ ხადური აცხადებს, რომ ამჯერად საუბარი იქნება მხოლოდ პენსიაზე, დაზღვევის პაკეტი არ უნდა შედიოდეს პენსიის ოდენობაში. ჩვენ თუ „ქართული ოცნების“ პროგრამას ხელახლა გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იქ არსად არ წერია ვადები. როგორც პროვოკატორებს ახასიათებთ, „ნაციონალებიც“ ასევე აკრიტიკებენ ივანიშვილს, რომ დაპირებას არ ასრულებსო. მიხეილ სააკაშვილს 2003 წლიდან მოყოლებული, არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია და ცოტა უხერხულია, მისმა დამქაშებმა პარლამენტში ამ თემაზე ილაპარაკონ. არ არის გამორიცხული, „ნაციონალების“ პროვოკაციულმა მოთხოვნებმა გარკვეული მხარდაჭერა ჰპოვოს მოსახლეობაში. ამათ ძალიან კარგად იციან, რომ ყველაზე კარგი თავდაცვა თავდასხმაა. რაც მთავარია, ობიექტურად იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ჩვენს მოსახლეობას ახასიათებს გარკვეული სიბრიყვე. ხალხმა ჩათვალა, რაკი ხელისუფლებაში მილიარდერი მოვიდა, ახლა ყველას დოლარები უნდა ჩამოგვირიგოსო. თუ ამ გზას დაადგება ბიძინა ივანიშვილი, ვერც ერთი საკითხი ვერ გადაწყდება, პირველი – არც მისი ქონება ეყოფა ამას და მეორე – ასეთი გზით მიღებული სიკეთე ძალიან მალე განადგურდება. მე მახსოვს, 2007 წლის დეკემბერში, როცა ქვეყანა ემზადებოდა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, მაშინ პოპულარული იყო ბადრი პატარკაციშვილის „შეხიდების პროგრამა“ და სწორედ იმისი განცდა სუფევდა მოსახლეობაში, რომ ის დაარიგებდა თავის მილიონებს. თამამად უნდა ითქვას, რომ ეს ბრიყვული განცდაა. აი, სწორედ ამ განცდის სტიმულირებაზე მუშაობს დღეს „ნაციონალური მოძრაობა“. აქვე ერთ რამესაც ვიტყვი, დღეს რომ „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებდნენ, ვთქვათ, „ახალი მემარჯვენეები“, „ქრისტიან-დემოკრატები“ ან „ლეიბორისტები“, ამას მე ჩავთვლიდი ნორმალურად და ვიფიქრებდი, რომ ჩვეულებრივ პოლიტიკურ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, როდესაც კრიტიკით „ნაციონალური მოძრაობა“ გამოდის, ეს სრული უზნეობაა, რადგანაც მის ლიდერებს 9 წლის განმავლობაში არცერთი დაპირება არ აუსრულებია.

– ბატონო ლადო, ყველა ოპოზიციური პარტია გაჩერდა, თითქოს ყველა გადავიდა იატაკქვეშეთში და რაღაცას ელოდებიან. ამ დროს ოპოზიციური ფლანგი დარჩათ „ნაციონალებს“.

– ჩემი აზრით, აქ სხვა რამეა... ხსენებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა მიიღეს სერიოზული დარტყმა, რაც მათ გათვლილი არ ჰქონდათ. მაგალითად, რას ფიქრობდნენ „ეროვნულ-დემოკრატები“, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ „ქრისტიან-დემოკრატები“ თითქმის დარწმუნებულები იყვნენ, რომ პარლამენტში მოხვდებოდნენ. ეტყობა, ასეთი ილუზიის ქვეშ იყვნენ „ახალი მემარჯვენეებიც“ და „ლეიბორისტებიც“, მაგრამ ეს ილუზიები დაიმსხვრა. მე კარგად მესმის, მათ ჯერ ეს დარტყმა უნდა გადაიტანონ, რაღაც დონეზე ჩამოყალიბდნენ, რაღაც ახალი მიდგომები მოძებნონ და მხოლოდ ამის მერე გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე.

– ბატონი თენგიზ სიგუა ჩემთან ინტერვიუში ამბობს, რომ ქვეყანაში თითქმის აღარ შემოდის ინვესტიციები, 2012წლის პირველ ნახევარში სულ შემოსულია 400 მილიონი ლარი. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირწმუნება, სანამ სააკაშვილი უცხოეთის ქვეყნებში დაბოდიალობს და სახელს უტეხს დღევანდელ მთავრობას, ასე იქნება. თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?

– ჯერ ერთი, ის ინვესტორები, რომლებიც საქართველოში შემოდიოდნენ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, და ეხლა თავს იკავებენ, მე ამას მივესალმები. მაშინ ინვესტიციები ძირითადად იდებოდა უძრავ ქონებაში, ქვეყანაში შემოდიოდა სპეკულაციური კაპიტალი, რაც ეკონომიკას არ ანვითარებდა. ქვეყანას კი სჭირდება ინვესტიციები იმისთვის, რომ შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და შემოვიდეს ახალი ტექნოლოგიები, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა არა ინვესტიციები უძრავ ქონებაში, არამედ ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამისატვის კი საჭიროა ქვეყნის ბაზრის მასშტაბების გაზრდა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის დამყარებით, რასაც ყველანაირად უშლიდა ხელს სააკაშვილის მთავრობა. სულ იძახდნენ, ამას გავაკეთებთო, მაგრამ „ბენდუიზმის“ ცნობილი იდეოლოგიის მიმდევარი პატარა „ბენდუკები“ მთავრობაში ყველაფერს აფერხებდნენ. ახლა „ქართულმა ოცნებამ“ კი აიღო ეს ვალდებულება, მაგრამ ისევ დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ, სამწუხაროდ, „ბენდუკების“ დიდი ნაწილი ისევ რჩება სამთავრობო უწყებებში, პირველ რიგში, ეკონომიკური

განვითარების სამინისტროში. მე ვეჭვობ, რომ ახლა ეს „ბენდუკები“ შეცვლიან თავიანთ იდეოლოგიას და ნორმალურ ადამიანებად გადაიქცევიან. კი განაცხადა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ჩვენ ყველა პროფესიონალს შევინარჩუნებთო, მაგრამ სამწუხაროდ, „ბენდუკების“ არმიაც არის შენარჩუნებული. მე პირადად ეჭვის თვალით ვუყურებ ასევე ინვესტიციების გაზრდას 2013 წელს. ეს არის საარჩევნო წელიწადი, ახლა პრაქტიკულად მიდის ბრძოლა ქვეყანაში სააკაშვილის მომაკვდავ რეჟიმსა და „ქართულ ოცნებას“ შორის, პრაქტიკულად მართლაც არსებობს ორხელისუფლებიანობა, სააკაშვილი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის ოპოზიციაშია, ის არ ცვლის ელჩებს და საელჩოები ქვეყნის საწინააღმდეგოდ მუშაობენ. ასევე ინტენსიურად მუშაობენ ლობისტები, რომლებიც თითქოს “აშავებენ” ივანიშვილს, მაგრამ ისინი პრაქტიკულად საქართველოს “აშავებენ”. არ დაგავიწყდეთ, სააკაშვილი ემზადება იმ რევანშისთვის, რომელიც, მისი გათვლით, უნდა მოხდეს აპრილის ბოლოს, ან მაისში ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის კუთხით. თუ „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად არ მოძლიერდა, სააკაშვილი შეეცდება, უცხოეთში გააძლიეროს “შავი” პიარი, რამაც მას უნდა მოაპოვებინოს წარმატება ქართულ პოლიტიკაში. გათვლა ასეთია, თუ დაინიშნა ვადამდელი არჩევნები, უბნებზე ხალხი აღარ მივა, ივანიშვილი ხომ ისედაც გაიმარჯვებსო. ნაციონალები კი მოახერხებენ მხარდამჭერების სრულ მობილიზაციას და არჩევნების მაქსიმალურად გაყალბებას. ეს საფრთხე უცხოეთიდანაც კარგად ჩანს. ამიტომ, ინვესტიციები ქვეყანაში დიდად არ შემოვა მანამ, სანამ სააკაშვილის რეჟიმი საბოლოოდ არ დამთავრდება.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ჩანაფიქრს განხორციელება უწერია?

– პირველ რიგში აუცილებელია, ცვლილებები შევიდეს კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც სააკაშვილის უფლებები შეიზღუდება. ბოლოს და ბოლოს, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ელჩები. კი, სააკაშვილის პრეროგატივაა, რომ გამოიწვიოს ელჩები, ეს პროცესი მას დაბლოკილი აქვს, მაგრამ აქ არის ერთი გამოსავალი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხომ შეუძლია, გამოიწვიოს საელჩოების თანამშრომლები? ასეთ შემთხვევაში ელჩი თავად იგრძნობს დისკომფორტს, თანამშრომლები არ იმუშავებენ სააკაშვილზე.

– მერე, ამას რატომ არ აკეთებენ?

– არ ვიცი... მე ახლა ჩამოვედი ლონდონიდან, სადაც იყო მნიშვნელოვანი კონფერენცია, ჩავედით ქართული დელეგაცია. "ჩეთემ ჰაუზ"-ში გამართულ დისკუსიას საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი ესწრებოდა. ხომ არ გგონიათ, რომ მოვიდა, ან გამარჯობა თქვა, ან საერთოდ დალაპარაკება იკადრა?

– რომელ დელეგაციაში იყავით?

– საქართველოდან წავედით ექსპერტები, საკითხი ეხებოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემას. საგარეო საქმეთა სამინისტრო მარტო სააკაშვილის კეთილ ნებაზე ნუ იქნება მინდობილი, შეცვალოს დესპანები, მდივნები და ატაშეები და ელჩებს თვითონვე მოუნდებათ გაქცევა. ისინი უნდა იყვნენ საქართველოს და არა გაკოტრებული სააკაშვილის სამსახურში.

– რა ხდება, ეს რა უბედურებაა?

– ის ხდება, რომ არ იწვევენ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ჩასმულ ხალხს საელჩოებში.

– აგენტურას, ხომ?

– უნდა შექმნან ნორმალური საელჩოები და სამინისტროებმა მოიშორონ „ბენდუკები". ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოს წარმატება არ ჰქონდეს. სასწრაფოდ დასაწყებია ის, რასაც ელოდება მოსახლეობა... მაგალითად, კახეთის დაზარალებული მხარე, იქ დაპირება იყო 80 მილიონის დახარჯვაზე. სასწრაფოდ შესაქმნელია აგრარული ფონდი, რაც ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვების დონეზეა. აუცილებელია, მთავრობაც და საპარლამენტო უმრავლესობაც იყოს მობილიზებული. ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" აქვს მკაფიო გეგმა, და თუ სააკაშვილის რეჟიმი ვერ მოახერხებს ხელისუფლებაში დაბრუნებას, იმას მაინც გააკეთებს, რომ ბოლომდე არ ჩაიძიროს და ყველანი ციხეში არ წავიდნენ. ამიტომ არიან გადმოსულები შეტევაზე, ძალიან დიდ ფულს ხარჯავენ უცხოეთში. ოცნების უფლება "ქართული ოცნების" მთავრობას ნამდვილად არ აქვს!

გელა ზედელაშვილი